თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4039729

ნომერი: AR1609455

თარიღი : 18.06.2018

გაცემის თარიღი : 28.06.2018

გაცნობის თარიღი : 28.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მწვანე ქუჩა N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა კალანდაძე პ/ნ 01025004870
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 22 ბ. 40

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 2 მარტის №3845687 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 18 ივნისს №AR1609455 განცხადებით მომართა ბექა კალანდაძემ და მოითხოვა 2018 წლის 2 მარტის №3845687

ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2018 წლის 3 იანვრის №3762886 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი- გლდანი , დასახლება გლდანი, მიკრო/რაიონი V, (ნაკვ.04/008) კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.11.09.004.015), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2018 წლის 2 მარტის №3845687 ბრძანებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაიცა ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, დასახლება გლდანი, მიკრო/რაიონი V, (ნაკვ. N04/008), შპს "პოუერ-გრუპ 2000"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.11.09.004.015), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 02 მარტიდან 2020 წლის 02 მარტის ჩათვლით.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2018 წლის 2 მარტის №3845687 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ბრძანების შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტების ველში არასწორად არის მითითებული შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ბრძანების ნომერი და თარიღი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 2 მარტის №3845687 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 2 მარტის №3845687 ბრძანებაში. კერძოდ: ბრძანების შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტების ველში მიეთითოს: ,,შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი: №3762886, შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი: 03.01.2018“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 2 მარტის №3845687 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 2 მარტის №3845687 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.